საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 13724/01
24/12/2021

13724-01-2-202112241801

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 30 ნოემბრის N21418 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ლაგოდეხის აღმოსავლეთით, მდ. ლაგოდეხისხევზე წყალდიდობის საწინააღმდეგო, ასევე ნაპირსამაგრ (ნაპირდაცვითი) სამუშაოებს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის გათვალისწინებული სამინისტროს 2021 წლის 3 ნოემბრის N11459/01 წერილში მითითებული საკითხები, მათ შორის:

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „მდინარის წყლის 1%-იან საანგარიშო ხარჯად მიღებულ იქნა 328 $მ^3$/წმ მნიშვნელობა და საპროექტო ნახაზებზე წარმოდგენილი დატბორვის და წარეცხვის დონეები მითითებულია აღნიშნული ხარჯის მიხედვით“. გრაფიკულ ნაწილში, განივ კვეთებზე მოცემული დატბორვის დონეები ემთხვევა სკრინინგის ანგარიშში (ცხრილი N4.6.3.3) დატბორვის დონეებს, რომლებიც შეესაბამება 195 $მ^3$/წმ მნიშვნელობის წყლის ხარჯს და უფრო ნაკლებია ცხრილი 4.6.2.2-ში მოცემული - 245 $მ^3$/წმ ღვარცოფული ხარჯის შესაბამის დონეებზე. გარდა ამისა, გრაფიკულ ნაწილში მოცემული 328 $მ^3$/წმ ხარჯის შესაბამისი კალაპოტის წარეცხვის სიღრმის სიდიდე უფრო მცირეა, ვიდრე სკრინინგის განცხადებაში (გვ. 29) მოცემული 195 $მ^3$/წმ წყლის ხარჯის შესაბამისი კალაპოტის წარეცხვის სიღრმე (3,95 მ). საანგარიშო დატბორვის დონე და კალაპოტის ზოგადი წარეცხვის დონეები მოყვანილ იქნას საანგარიშო ხარჯის მნიშვნელობასთან შესაბამისობაში;
- საპროექტო ნაგებობა გაანგარიშებული უნდა იყოს საქართველოში აპრობირებული/მოქმედი მეთოდებით;
- ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმოებისას საპროექტო მონაკვეთზე ამოძირკვული და გატანილი უნდა იქნას დაცული ტერიტორიებიდან ინვაზიური სახეობები, რომლებიც პრობლემას უქმნის ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას და

საჭიროებს რიცხოვნობის შემცირებას. აღნიშნული სახეობებია: ცრუაკაცია (Robinia pseudoacacia), პავლონია (Paulownia tomentosa), ხემყრალა (Ailanthus altissima) (გვ. 38);

- ამასთან, გაცნობებთ, რომ პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვება ,,ტყითსარგებლობის წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილების შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე